

## ცოდნით და პასუხისმგებლობით

სიტყვის თავისუფლება ადამიანს ღვთისგან აქვს მონიჭებული, რადგან გონიერ და შემოქმედ არსებად, თავის ხატად შექმნა იგი. ღვთის სიტყვის თავისუფლება არის ჭეშმარიტების განცხადება კაცთათვის და ჩვენც გვმართებს ამგვარი თავისუფლება სიტყვისა. მცნება გვეუბნება: „არ მოკლა, არ იმრუშო, არ იპარო, ცილი არ დასწამო“ და ა.შ. თუმცა ცოდვით დაცემული ადამიანი თავისუფალი ნებით არღვევს ამ მცნებებს. ასევე სიტყვის თავისუფლების დღევანდელი გაგება დასაშვებად მიიჩნევა არგუმენტების ნაცვლად ლანძღო მეორე მხარე ან ცილი დასწამო, ან ნაყალბევი ინფორმაცია სიმართლედ წარმოაჩინო. ეს სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენებაა. უფალმა კი გაგვაფრთხილა, რომ „ყოველი უქმი სიტყვის გამო, რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აგებენ განკითხვის დღეს“ (მთ.12, 36). თავისუფლება დიდი პასუხისმგებლობაა.

ბოლო დროს სოციალურ ქსელებში გააქტიურებული მითქმა-მოთქმა უკრაინაში ეკლესიოლოგიური ხასიათის პრობლემებთან დაკავშირებით მიზნად არ ისახავს ამ პრობლემების გადაწყვეტას. ზოგიერთს მიაჩნია, რომ მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოსის მიერ უკრაინაში სქიზმატური დაჯგუფებისათვის მათი დამოუკიდებლობის აღიარების ტომოსის გადაცემით პრობლემა გადაწყდა. სინამდვილეში, მანამდე გარეგნულად მშვიდობიანი თანაარსებობა ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა. გამოსავლის პოვნა გართულდა. ეკლესიოლოგიურ, სარწმუნოებრივ და სულიერ საკითხებზე პასუხი წმიდა წერილში, ღვთის სიტყვაში უნდა ვეძებოთ. უფალი საეკლესიო წესების ორგულად შემსრულებლებს ეუბნება: „დაგიტოვებიათ უმთვარესი სჯულისა სამართალი, წყალობა და რწმენა“ (მთ.23,23). რადგან რწმენა, თუნდაც სიტყვიერად ერთი გვაქვს, გვმართებს სამართლის და წყალობის მოძიება. მეფე დავით მეფსალმუნის სიტყვა: „წყალობასა და სამართალსა გაქებდე შენ, უფალო“ (ფს.100,1), მაგალითი იყოს ჩვენთვის.

ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა ჩემი მოკლე მოსაზრება-ხედვა უკრაინაში ეკლესიოლოგიური პრობლემის გადაწყვეტისა. იქაც იმავეს ვამბობდი, რომ ეკლესიის სამართლებრივ სივრცეში იკონომიის პრინციპით მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობით უნდა მოგვარდეს არსებული პრობლემა. კონტრარგუმენტების ნაცვლად, ზოგმა მლანძღა, ზოგმა გადაუმოწმებელი ისტორიული ფაქტი მოიყვანა, რომელიც არ შეესაბამება რეალობას. არგუმენტების უქონლობის გამო გამწარებული ადამიანისგან ლანძღვა მისი სისუსტის მაჩვენებელია. მათთან პოლემიკის გამართვა სისულელე იქნება.

ცოტა ხნის წინ საქართველოს საპატრიარქოში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან სტუმრად იყო ორი მღვდელმთავარი, რომლებმაც თავისი ვიზიტის მიზანი ახსნეს, რომ მანამდე იყვნენ პოლონეთის ეკლესიაში და შემდგომში სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებსაც ეწვევიან კონსულტაციების მიზნით.

წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღეს ქადაგებაში, რომელიც წმინდანის მოღვაწეობის ეპოქას, იმდროინდელი ეკლესიის წიაღში შფოთისა და ახალი მწვალებლობის გამო პოლემიკას ეხებოდა, ვახსენე დღევანდელი სიტუაცია უკრაინაში და ვთქვი ის, რაც უშუალოდ ვისმინე და ვიხილე. საქართველოდან ათასი კილომეტრით დაშორებული მავანი, რომელსაც არც მოუსმენია და არც უხილავს კონსტანტინოპოლელი მღვდელმთავრების სიტყვა, ტელეეკრანიდან მოსმენილი ფრაგმენტული სიტყვის საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე გამოენტო ჩემ სალანძღავად. ეს მისი სარწმუნოებრივი სინდისის საკითხია და თვითონ გარკვიოს თავისი სულიერი მდგომარეობა; მაგრამ ის მაინც უნდა იცოდეს, რომ

კონსულტაციებსა და კონსტრუქციულ დიალოგებს შორის წინააღმდეგობა არ არის. კონსულტაციებით იწყება კონსტრუქციული დიალოგი. ერთმანეთს თუ არ მოვუსმენთ და არ გავარკვევთ და გავიგებთ ჩვენს პოზიციებს, ერთობის მიღწევის გზას როგორ ვიპოვით? ამიტომ ჩვენმა პატრიარქმა სტუმრებს უთხრა: „დრო მკურნალია, არ ვიჩქაროთ“.

ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ფართო საზოგადოებისთვის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი პოზიციის გარკვევა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ეკლესიის სამართლებრივი პრინციპები, ზნეობრივი მოძღვრება, დოგმატური ღვთისმეტყველება და სხვა წმიდა წერილზე, ღვთის სიტყვაზე, სახარებაზე არის დაფუძნებული. უფალი გვეუბნება: „გიყვარდეთ თქვენი მტრები; აკურთხეთ თქვენი მწყევარნი, სიკეთე გაუკეთეთ თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც მძლავრობს თქვენზე და გდევნით თქვენ, რათა იყოთ თქვენ შვილები თქვენი ზეცათა მამისა, რადგან თავისი მზე ამოჰყავს ბოროტებზე და კეთილებზე და აწვიმებს მართლებზე და ცრუებზე... იყავით თქვენ სრულნი, როგორც სრულია მამა თქვენი ზეცათა“ (მთ.5,44-45;48). ამ საუბარს, მთაზე ქადაგებას, უფალი დაასრულებს სიტყვებით: „ეძიეთ პირველად სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი და ეს ყოველივე (ამქვეყნიურ ცხოვრებაში რაც გჭირდებათ) შეგემატებათ თქვენ“ (მთ.7,33). როგორ ვეძიოთ და აღვასრულოთ სიმართლე? უფალი გვიჩვენებს: „ყოველივე, რაც გინდათ, რომ გაგიკეთონ თქვენ ადამიანებმა, თქვენც ის გაუკეთეთ მათ, რადგან ეს არის სჯული და წინასწარმეტყველნი“ (მთ.7,12). მოყვანილი სიტყვები ქრისტიანული ზნეობის, სულიერების და სამართლიანობის ანბანია. ვინც ანბანი არ იცის ან დაავიწყდა, იმას წერა-კითხვას ვერ მოვთხოვთ. სახარების მოყვანილი სიტყვებიდან ცხადად ჩანს, რომ, პირველ რიგში, უნდა ვიყოთ ობიექტურები და მიუკერძოებლები, სიმართლე ღვთის წინაშე უნდა ვეძიოთ და არა კაცთა წინაშე.

ამის შემდეგ ვეცდები, ფართო საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია უკრაინის ყოფილი ეგზარქოსის, მიტროპოლიტ ფილარეტის შესახებ, როდის და როგორ აღმოჩნდა ის დაპირისპირებაში მოსკოვის საპატრიარქოსთან, როგორ კვალიფიცირდება მისი ქმედებები საეკლესიო სამართლის, დიდი სჯულის კანონის მიერ. გავიხსენებ, როგორ ხდებოდა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ავტოკეფალიის მინიჭება ან გაუქმება, და ბოლოს, რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ უკრაინის კრიზისი მშვიდობიანად დასრულდეს.

1990 წლის 2 მაისს გარდაიცვალა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი და დაქვრივებული საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ ახალი პატრიარქის არჩევნებამდე დაინიშნა მიტროპოლიტი ფილარეტი, უკრაინის ეგზარქოსი. არჩევნების შედეგად პატრიარქად აღსაყრდებულ იქნა ალექსი II. ცოტა ხნის შემდეგ მან უკრაინის ეკლესიას ავტონომიური უფლებები მიანიჭა. 1991 წლის ოქტომბერში მიტროპოლიტმა ფილარეტმა უკრაინის პრეზიდენტის კრავჩუკის მხარდაჭერით უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება ითხოვა. მღვდელმთავართა უმრავლესობამ, სამღვდელოების დიდმა ნაწილმა და სამრევლოებმა არ გაიზიარეს ეს მოთხოვნა მიტროპოლიტ ფილარეტის მოქმედებით უკრაინის ეკლესიაში გამოწვეული დაპირისპირების გამო. 1992წ. აპრილში მოსკოვის საპატრიარქოს მღვდელმთავართა კრებაზე მას მოუწოდეს, დაეტოვებინა ეგზარქოსის თანამდებობა, რაზეც ის დათანხმდა, თუმცა კიევში დაბრუნების შემდეგ გადაიფიქრა და თავისი წადილის რეალიზება სცადა. 1992 წელს 27 მაისს უკრაინის ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ მიტროპოლიტი ფილარეტი არა მარტო გადააყენა თანამდებობიდან, არამედ მღვდელმსახურებაც აუკრძალა. ამის საპასუხოდ, მიტროპოლიტმა ფილარეტმა თავის რამდენიმე მომხრე სამღვდელო პირთან ერთად სცადა გაერთიანება ემიგრაციაში მყოფ უკრაინის თვითგამოცხადებულ ავტოკეფალურ ეკლესიასთან, რომელსაც ჰყავდა თავისი,

მართლმადიდებელი ეკლესიისგან არალიარებული, თვითგამოცხადებული ხანდაზმული პატრიარქი. მისი გარდაცვალების შემდეგ ავტოკეფალისტებმა ახალი პატრიარქი აირჩიეს. მიტროპოლიტმა ფილარეტმა ითხოვა მათ წიაღში „პატრიარქის“ მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა, მაგრამ 1995 წლის 4 მაისს ავტოკეფალისტთა კრებაზე ამ მოთხოვნაზე უარი ეთქვა. ახლად არჩეული „პატრიარქის“ საიდუმლოებით მოცული მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ, რომელიც უფრო მკვლევლობას ჰგავდა, 1995 წელს 21 ოქტომბერს მიტროპოლიტმა ფილარეტმა თავისი თავი „პატრიარქად“ გამოაცხადა, თუმცა „ავტოკეფალური“ ეკლესიის მღვდელმთავრების უმრავლესობამ პროტესტის ნიშნად დატოვა კრება. მნიშვნელოვანია ის, რომ ვიდრე მიტროპოლიტი ფილარეტი კანონიკური ეკლესიის წიაღში იყო, იგი 1992 წელს დაყენებულ იქნა მსახურებიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან გააგრძელა არა მარტო მსახურება, არამედ თავისი მომხრეების ხელდასხმაც.

ვნახოთ, რას ამბობს დიდი სჯულის კანონი ამგვარ ქმედებებზე:

**მოციქულთა კანონი** ბრძანებს: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი, სამართლიანად განკვეთილი თვალსაჩინო მიზეზის გამო, გაბედავს და დაიწყებს ოდესღაც მისთვის დავალებულ მღვდლობას (მსახურებას), იგი სრულიად უნდა მოიკვეთოს ეკლესიისგან“ (28-ე კანონი).

**ანტიოქიის კრების (341წ.)** კანონის თანახმად: „თუ კრების მიერ განკვეთილი ეპისკოპოსი ან თავისი ეპისკოპოსისგან განკვეთილი მღვდელი, ან დიაკონი შემდეგაც გაბედავს მღვდლობას ან სხვა რაიმეს გაკეთებას ადრინდელი ჩვეულებისამებრ, მას აღარ უნდა ჰქონდეს სხვა კრებისგან აღდგენის ან გამართლების იმედი, არამედ მისი ზიარებულნიცა და მაზიარებულნიც განდევნლნი უნდა იქნენ ეკლესიიდან, მით უმეტეს, თუ მათ იცოდნენ ეს გადაწყვეტილება და მაინც გაბედეს მათი ზიარება“ (მე-4 კანონი).

**კართაგების კრების (419წ.)** დადგენილებით: „თუ ეკლესიიდან თავისი საქმეების შესაბამისად ვინმე დამსახურებულად არის განდევნილი და იგი რომელიმე ეპისკოპოსმა ან მღვდელმა ზიარებისთვის შეიწყნაროს, თვით მზიარებელი განდევნილის თანაბარი სასჯელით უნდა დაისაჯოს და თავისი ეპისკოპოსის კანონიერი სასჯელისგან ვერ გადარჩეს“ (მე-9 კანონი).

**მოციქულთა კანონი** ასე ამბობს: „თუ ვინმე სამღვდლო პირი განკვეთილ სამღვდლო პირთან ერთად ილოცებს, როგორც მღვდელთან, ისიც უნდა განიკვეთოს“ (მე-11 კანონი).

მიტროპოლიტ ფილარეტის 1992 წელს მსახურებიდან დაყენების, ხოლო შემდგომ მისი საეკლესიო კანონთა საწინააღმდეგო ქმედებების გამო განკვეთის შესახებ ეცნობა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებს. მათ სამართლიანად სცნეს მოსკოვის საპატრიარქოს განჩინება და 2018 წლამდე მიტროპოლიტ ფილარეტთან და მის მიერ ხელდასხმულ სამღვდლო პირებთან ევქარისტიული კავშირი არავის დაუმყარებია. 2018 წელს კულუარული მოლაპარაკებების შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა ერთპიროვნულად და ცალმხრივად, მიუხედავად იმისა, რომ არცერთმა ადგილობრივმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გაიზიარა მისი განზრახვა, გადაწყვიტა უკრაინის ეკლესიისთვის, რომელშიც მოიაზრებოდა, ერთი მხრივ, არსებული კანონიკური, მოსკოვის საპატრიარქოს ეგზარქატი, მეორე მხრივ, მიტროპოლიტ ფილარეტის სქიზმატური ჯგუფი და თვითგამოცხადებული უკრაინის „ავტოკეფალური ეკლესია“ – მათთვის ავტოკეფალიის მინიჭება. ცხადია, კანონიკური ეკლესია უკრაინაში გაემიჯნა ამგვარ ეკლექტურ კონგლომერატში გაერთიანებას, რათა თვითონაც განხეთქილების გამზიარებელი არ გამხდარიყო. მიტროპოლიტ ფილარეტის მსახურებიდან დაყენების და განკვეთის შემდეგ

მისი მღვდელმოქმედების მადლმოსილების უწყვეტელობა დაირღვა და მის მიერ ხელდასხმული „სამღვდელოება“ და „მღვდელმთავრები“ საეკლესიო კანონებით ვერ იქნებიან სამღვდლო ხარისხში აღიარებულნი, ხოლო როგორც განხეთქილების გამზიარებელი ერისკაცნი, კანონიკური სასჯელის ქვეშ იმყოფებიან.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი აპელირებს მისთვის მინიჭებული ექსკლუზიური უფლებით – სხვა ადგილობრივი ეკლესიების კანონიკურ სივრცეში ერთპიროვნულად, საკუთარი მოსაზრებით, ჩარევისა. მართლმადიდებელი ეკლესიის სჯულის კანონმა და ეკლესიის ისტორიამ ასეთი კანონი არ იცის. ქალკედონის IV მსოფლიო კრების (451წ.) 28-ე კანონი მოწმობს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტის პატივზე, რომ ის მეორეა ძველი რომის შემდეგ და განსაზღვრავს მის იურიდიულ საზღვრებს: „კონტოს, ასიის და თრაკიის განსაგებელთა მიტროპოლიტებმა და ამ მხარეში მყოფმა არაბერძნული მოსახლეობის ეპისკოპოსებმა ხელდასხმა მიიღონ კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიისგან“. მართლმადიდებელი ეკლესია არ იზიარებს ადამიანის ერთპიროვნულ უცდომელობას, რომელ ხარისხშიც არ უნდა იყოს იგი. საკმარისია, გავიხსენოთ მწვალებლობაში ჩავარდნილი კონსტანტინოპოლის პატრიარქები: ნესტორი, სერგი (მონოთელიტი), კონსტანტინე II (ხატმებრძოლი), ალექსანდრიის პატრიარქი დიოსკორე (მონოფიზიტი) და სხვა. მართლმადიდებელი ეკლესიის უცდომელობა მის კრებითობას ეფუძნება, რომელშიც სულიწმიდის მადლი მოქმედებს, რაზეც „მრწამსის“ შესაბამისი მუხლი მეტყველებს და, უპირველეს ყოვლისა, მაცხოვრის ანდერძი მოციქულებისათვის: „თქვენ ძმები ხართ“. „ამით მიხვდება ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გეყვარებათ ერთმანეთი“ (ინ.13,35).

ავტოკეფალური ეკლესიები პირველივე საუკუნეებში ყალიბდება, რაზეც I მსოფლიო კრება (325წ.) მოწმობს: „ძველი წესი იყოს დაცული ეგვიპტეში, ლიბიასა და ხუთქალაქში (პენტაპოლისში), რომ ყველა ამათზე ვრცელდებოდეს ალექსანდრიის ეპისკოპოსის ხელისუფლება. ასეთივე ჩვეულება არის რომის ეკლესიაშიც, ანტიოქიაშიც და სხვა სამთავროებშიც – დაცულია რომელიმე ეკლესიის უპირატესი ძალაუფლება. ეს საყოველთაოდ, მთელ მსოფლიოში ცხადი იყოს, რომ თუ ვინმე, მიტროპოლიტის ცნობის გარეშე ეპისკოპოსი გახდება, ასეთის შესახებ ადგენს დიდი კრება, რომ არ არის ჯეროვანი მისი ეპისკოპოსობა...“ (მე-6 კანონი).

„რადგან ჩვეულებით დამტკიცებულია და ზეციდან მოცემულია, რომ პატივი მიეგოს ელიის (იერუსალიმის) ეპისკოპოსს, ამიტომ ამ ქალაქს შეურყევლად ჰქონდეს მიტროპოლიტის პატივი“ (მე-7 კანონი). ეკლესიებს შორის ურთიერთობის გამსაზღვრელი ორი ცნება არსებობს: დედაეკლესია და კირიეარქიული ეკლესია. დედაეკლესია არის ის, რომელმაც პოლიტიკურად, ადმინისტრაციულად და ტერიტორიულად დამოუკიდებელ, ძირითადად მონოთენიკური ჯგუფით დასახლებულ რეგიონს თავისი წიაღიდან გამოყოფის და ახალი დამოუკიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბების უფლება მისცა. ამის შემდეგ დედაეკლესია სცნობს შვილობილის დამოუკიდებლობას და მის შიდა საქმეებში თვითნებურად არ ერევა. კირიეარქიული ეწოდება იმ ეკლესიას, რომელიც თავის წიაღში აფუძნებს ავტონომიურ ეკლესიას, პატივს მიაგებს მის ავტონომიურ უფლებებს, მაგრამ ავტონომიური ეკლესია ვალდებულია, თავისი ქმედებები შეათანხმოს თავის კირიეარქიულ ეკლესიასთან. იერუსალიმის ეკლესია არის დედაეკლესია ყველა ეკლესიისა, რადგან მისგან გამოსულმა მოციქულებმა დააარსეს ახალი ეკლესიები, მაგრამ იერუსალიმის ეკლესია არ ერევა ავტოკეფალური ეკლესიების შიდა საქმეებში. კონსტანტინოპოლის ეკლესიის ავტოკეფალია აღიარებულია II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე და დადასტურებულია IV მსოფლიო კრებაზე მისი კანონიკური საზღვრების მითითებით. კონსტანტინოპოლის ეკლესია კირიეარქიული იყო ბულგარეთის, რუმინეთის, სერბეთის ტერიტორიებზე არსებული

ეკლესიებისა, რადგან მათი ტერიტორიები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდა. ამავე უფლებით კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დააფუძნა კიევის, მოსკოვის და სხვ. მიტროპოლიები რუსეთის ტერიტორიაზე. მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლმა ბულგარეთს 932 წელს, ხოლო სერბეთს 1218 წელს მიანიჭა ავტოკეფალია, იგი გახდა მათთვის დედაეკლესია და აღარ იყო კირიეარქიული. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ვითარების გამო კონსტანტინოპოლმა ბულგარეთს ორჯერ, ხოლო სერბეთს ერთხელ გაუუქმა ავტოკეფალია. ბულგარეთმა ავტოკეფალია ბოლოს აღიდგინა 1946 წელს, ხოლო სერბეთმა – 1879 წელს. მოსკოვის მიტროპოლია და მასთან ერთად რუსეთის სხვა ეპარქიები 1448 წელს გაემიჯნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რადგან ფერარა-ფლორენციის კრებაზე კონსტანტინოპოლი რომის პაპთან უნიაზე დათანხმდა. ამგვარ შემთხვევაზე ორგზის კრების (861წ.) მე-15 კანონი ამბობს: „თუ კირიეარქიული ეკლესია ჩავარდა მწვალებლობაში, მის დაქვემდებარებაში მყოფ ავტონომიურ ეკლესიას აქვს უფლება, გამოაცხადოს მისგან დამოუკიდებლობა“. მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლმა უარყო და გააუქმა უნია, რუსეთის ეკლესიას 1589 წელს ავტოკეფალია კონსტანტინოპოლთან ერთად ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საპატრიარქოებმა მიანიჭეს. XVII საუკუნეში კონსტანტინოპოლმა მოსკოვის საპატრიარქოს გადასცა კიევის მიტროპოლია და ამასთან ერთად კირიეარქიული უფლებები მასზე. ამის შემდეგ უკრაინის ეკლესიის პრობლემების გადაწყვეტა მოსკოვის საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე ართულებს ვითარებას, მითუმეტეს, რომ კანონიკური ეკლესიის გვერდით იქ იყო მიტროპოლიტ ფილარეტის სქიზმატური ჯგუფი და თვითგამოცხადებული „ავტოკეფალური ეკლესია“.

სქიზმაში მყოფი სასულიერო პირის კანონიკური ეკლესიის სამართლებრივ სივრცეში დაბრუნება გულწრფელი სინანულით ხდება და არა კონსტანტინოპოლის პატრიარქის ექსკლუზიური უფლებით. ამგვარი უფლება დიდი სჯულის კანონისთვის უცხოა. პირველად ამგვარ უფლებაზე პრეტენზია კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მელეტოსმა (მეტაქსაკისი) 1920-22წწ. განაცხადა და ისიც გულისხმობდა ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების ტერიტორიული სივრცის გარეთ მსოფლიოში არსებული მართლმადიდებელთა დიასპორის კონსტანტინოპოლისადმი დამორჩილებას, თუმცა ესეც არარეალიზებადი აღმოჩნდა. მიღებულია მხოლოდ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიასპორების სამრევლოების მმართველ მღვდელმთავართა ერთობლივ საბჭოებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობა. საბჭოს ფუნქცია არის ინფორმირება, კოორდინაცია, შეთანხმება კონსენსუსის საფუძველზე. ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის თვითნებურად გამოცხადებას ადგილი ჰქონია, მაგრამ დროთა გამავლობაში ხდებოდა მათი მოქცევა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივ სივრცეში. მაგალითად:

ელადის ეკლესიამ ავტოკეფალია 1833 წელს თვითნებურად გამოაცხადა, მაგრამ დაუმტკიცდა 1850წ.

რუმინეთის ეკლესიამ 1865 წელს თვითნებურად გამოაცხადა ავტოკეფალია, ხოლო კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ 1885 წელს სცნო იგი.

პოლონეთის ეკლესიამ 1923 წელს თვითნებურად გამოაცხადა ავტოკეფალია, კონსტანტინოპოლმა მაშინვე სცნო იგი, მაგრამ საბოლოოდ აღიარებულია 1948 წელს.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკლესიის უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის ქართველი სასულიერო პირების მიერ 1917 წელს აღდგენისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ 1990 წელს მისი აღიარების საკითხს არ ვეხები იმ იმედით, რომ ყველა მორწმუნე მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ქართველმა კარგად იცის

ეს. არამარტო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეკლესიების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, არამედ მათთან ერთად ჩეხეთის და სლოვაკეთის, ალბანეთის, ამერიკის ეკლესიებისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მაგალითების ანალიზის საფუძველზე მსოფლიო ეკლესიამ ერთობლივად უნდა შეიმუშავოს მოდელი უკრაინის მართლმადიდებელი ერის ერთიანი ავტოკეფალური ეკლესიის დაფუძნების და აღიარებისა.